პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 170 (3400)
31
1967 წ.
აგვისტო,
ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის
24-ე წელი.

პარტიისა და მთავრობის დადგენილება — მოქმედებაში!

ცხაკაიაშიც იქნება ლუჟნიკი

ცხაკაიელი მშრომლები უდიდესი შრომითი აღმავლობით ხვდებიან დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის ზეიმს. მაგრამ აქ მარტო შრომითი პათოსის დღეები როდია — მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა ფიზკულტურისა და სპორტის დარგშიც. რაიონის მშრომლებში მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის უკეთ წარმართვის მიზნით შარშან აქ გამოცხადდა ბაზების მშენებლობის ერთთვიური, რომლის შედეგადაც რაიონს ათობით ფეხბურთის მინდორი, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები შეემატა.

წლეულს რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებით, ცხაკაიაში დაიწყო კულტურისა და დასვენების პარკისა და ახალი კომპლექსური სპორტული ბაზის მშენებლობა. საქქალაქმშენსახპროექტის ინსტიტუტის სოხუმის ფილიალის მიერ დამუშავებული პროექტით პარკი და სტადიონი 9,4 ჰექტარს დაიკავებენ. სპორტულ კომპლექსს ექნება კალათბურთის ორი მოედანი, ფეხბურთის სათამაშო და საწვრთნელი მინდვრები, 5 სარბენი ბილიკი და მძლეოსნობის სხვა სექტორები, 100-მეტრიანი ტირი, ჩოგბურთის 3 კორტი, საჭიდაო და ძალოსნობის მოედნები, ტანვარჯიშული ბაქანი, ზამთრის საცურაო აუზი. სტადიონს გაუკეთდება ტრიბუნები 10 ათასი მაყურებლისთვის.

რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყოველდღიური ზრუნვითა და მშრომელთა აქტიური მხარდაჭერით სტადიონის მშენებლობაზე გაცხოველებული საქმიანობაა. მუშაობას ენერგიულად უძღვება მე-12 მექანიკური სამშენებლო კოლონა, რომლის უფროსია მ. ჭანტურია.

ე. გუგუნავა.
(ჩვენი კორ.).

ცხაკაია.

როგორც ვიუწყებოდით, თბილისში დამთავრდა ახალგაზრდობის სპორტსკოლების „კლასიკოსთა“ საკავშირო გუნდური ჩემპიონატის ფინალი, რომელშიც დიდ წარმატებას მიაღწიეს აქაურმა მოჭიდავეებმა. მათ ზედიზედ მესამედ მოიპოვეს გარდამავალი თასი და სამუდამო მფლობელობაში დაიტოვეს იგი. მარცხენა სურათზე სწორედ ეს თასი უჭირავს თბილისის გუნდის კაპიტანს გ. ძელიძეს.

თბილისელებმა ე. ლუდუშაურმა (მძიმე წონა) და ო. ტატიშვილმა (ქვემსუბუქი) სპეციალური პრიზები დაიმსახურეს საუკეთესო ტექნიკისთვის. შუაში — ლუდუშაური ილეთს უტარებს ლენინგრადელ ი. ფრიდმანს; მარჯვნივ — მწვავე მომენტი ტატიშვილ (ზემოთ) — ვ. ტოპოროვის (ალმა-ათა) შეხვედრაში.

ფოტო ი. იუნაევისა.

სსრ კავშირი — ფინეთი 2:0

მოსკოვი, 30 აგვისტო. დღეს აქ, ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე, გაიმართა ევროპის ჩემპიონატის III შესარჩევი ჯგუფის მონაწილეთა — სსრ კავშირისა და ფინეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების კალენდარული მატჩი.

მთელი თამაშის განმავლობაში უპირატესობას მტკიცედ ფლობდნენ მასპინძლები, მაგრამ მათ მხოლოდ ორჯერ აიღეს მეტოქის კარი: მე-14 წუთზე — ხურცილავამ და 85-ე წუთზე — ჩისლენკომ.

სსრ კავშირის ნაკრების მეკარე კავაზაშვილს მხოლოდ მატჩის მიწურულში მოუხდა ასეთუისე სერიოზულად ჩაბმა თამაშში.

ანგარიშით 2:0 გაიმარჯვა საბჭოთა გუნდმა, რომელსაც 3 თამაშის შემდეგ 6 ქულა აქვს (ბურთები — 10:3).

კიდევ ორი საპრიზო...

როგორც ვიუწყებოდით, ლვოვში გაიმართა „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზის გათამაშება ცურვაში. იმასაც ვწერდით, რომ 50 მეტრზე გულაღმა გოგონათა ცურვა თბილისელმა თ. ლეკვეიშვილმა („დინამო“) მოიგო.

ეს არ იყო ლეკვეიშვილის ბოლო წარმატება: 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში მან 1.14,3 აჩვენა და III ადგილი დაიკავა. პირველობა წილად ხვდა ტ. შაპოვალოვას (ვოლჟსკის „ტრუდი“), II ადგილი — ე. კორნეევას (ლენინგრადის განათლების განყოფილება) — 1.13,9.

50 მეტრი თავისუფალი სტილით კარგად გაცურა ლეკვეიშვილის თანაგუნდელმა ბიჭუნამ პ. გევორქოვმა (27,8), რომელმაც I ადგილი დაისაკუთრა.

ამ ეტაპის გუნდურ ასპარეზობაში II ჯგუფში განთიადელი მოცურავეებიც გამოდიოდნენ და IV ადგილი დაიკავეს. რაც შეეხება სპორტსკოლების ჯგუფს, თბილისის „დინამოს“ ნორჩები IX ადგილით დაკმაყოფილდნენ.

ორი ეტაპის (მოზრდილთა და მოზარდთა შეჯიბრების შედეგები) ჯამში I ჯგუფში დაწინაურდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ნაკრები, ხოლო მეორეში — სამხედრო-საზღვაო ფლოტის გუნდი.





საბჭოთა გუნდი — ჩემპიონი

კვარცხლბეკზე დაბრუნება

ამსტერდამი, 30 აგვისტო. 4 კილომეტრზე გამოდევნებით გუნდურ რბოლაში საბჭოთა ველოსიპედისტების ბრწყინვალე გამარჯვებით აღინიშნა აქაურ ოლიმპიურ ტრეკზე დამთავრებული მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალში სსრ კავშირის გუნდმა (მინსკელი ვ. ბიკოვი, ტაშკენტელი მ. კოლიუშევი, რიგელი ძ. ლაცისი და ლენინგრადელი ს. მოსკვინი) დამაჯერებლად სძლია იტალიელებს — 4.35,89. იტალიელები 11,02 წამით ჩამორჩნენ გამარჯვებულებს.

ორწლიანი შესვენების შემდეგ საბჭოთა სპორტსმენებმა დაიბრუნეს მსოფლიო ჩემპიონთა ტიტული ამ ოლიმპიურ სახეობაში.

მოტოგადარბენა პენზა — ჩეხოსლოვაკია

სამოქალაქო ომის წლებში ვოლგისპირეთში თავი ისახელა 1918 წლის აპრილში პენზაში ჩამოყალიბებულმა პირველმა ჩეხოსლოვაკიურმა რევოლუციურმა პოლკმა. ახალი ფაქტებისა და საბუთების თავმოყრას, ინტერნაციონალისტთა საბრძოლო გზის მოგონებას მიეძღვნა მრავალდღიანი მოტოგადარბენა მარშრუტით პენზა — ჩეხოსლოვაკია — პენზა.

გადარბენის 14-მა მონაწილემ — პენზელმა ახალგაზრდა მუშა-მოსამსახურეებმა 7 ათას კილომეტრზე მეტი უნდა გაიარონ, აქედან, 2000 კილომეტრზე მეტი — ჩეხოსლოვაკიაში. გზად ისინი გაივლიან მოსკოვს, კიევს, უჟგოროდს, პრეშოვს, პლზენს, პრაღას, ბრნოს, ბრატისლავას, ზვოლენს.

ახლა მოტოციკლისტები ჩეხოსლოვაკიაში არიან. აქ მათ საინტერესო შეხვედრები მოუწყვეს. მაგალითად, პირველი ჩეხოსლოვაკიური რევოლუციური პოლკის ყოფილმა მებრძოლმა ი. კრიუეკმა, რომელიც რუსეთში საბჭოთა ხელისუფლებისთვის იბრძოდა. იგი ახლა პრაღის ერთ-ერთი მუზეუმის თანამშრომელია, ავტორია წიგნისა „პენზა“, რომელშიც აღდგენილია დიდებული ისტორიული წარსული.

მოტოგადარბენის მონაწილეთა შორის არის 88 წლის ზეინკალი ბ. პასკო. მეორე მსოფლიო ომის წლებში იგი, ჯერ კიდევ 13 წლის ბალღი, საბჭოთა პოლკის შვილი იყო და მონაწილეობდა ჩეხოსლოვაკიის გათავისუფლებაში გერმანელ ფაშისტ დამპყრობელთაგან. ომის შემდეგ ბორისმა ცხოველი მიმოწერა გამართა ამ ქვეყნის მრავალ მცხოვრებთან. ახლა, თითქმის 25 წლის შემდეგ, იგი კვლავ ინახულებს თავის ჩეხოსლოვაკიელ მეგობრებს.

(ასს-ი).

„ბ“ კლასი IV ზონა

29 აგვისტოს გაიმართა მორიგი ტურის მატჩები სსრ კავშირის საფეხბურთო პირველობაზე „ბ“ კლასის რსფსრ-ს IV ზონის გუნდებს შორის. აი, შედეგებიც: „დინამო“ (მახაჩყალა) — „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) 3:1, „უროჟაი“ (დერბენტი) — „დინამო“ (სოხუმი) 2:1, „მაშინოსტროიტელი“ (პიატიგორსკი) — „დილა“ (გორი) 2:0, „უროჟაი“ (კრიმსკი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 3:1, „გურია“ (ლანჩხუთი) — „უროჟაი“ (მაიკოპი) 0:0, „არაქსი“ (ერევანი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 1:1, „ლერნაგორცი“ (კაფანი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 0:1, „ლორი“ (კიროვაკანი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 3:2, „სევანი“ (ოქტემბერიანი) — „შუქურა“ (ქობულეთი) 1:1.

ხვალ იღება სკოლის კარი

ხვალ იწყება ახალი სასწავლო წელი. სკოლის კარს შეაღებს ასეულ ათასობით ბავშვი, რომლებმაც ხალისიანად, შინაარსიანად გაატარეს ზაფხულის არდადეგები და ახლა ენერგიულად შეუდგებიან სწავლას.

ჩვენი რესპუბლიკის ბევრ სკოლაში ახალი სასწავლო წლისთვის სათანადოდ მოემზადნენ: შეკეთდა საკლასო ოთახები, ახალი ინვენტარით შეივსო კაბინეტები და ლაბორატორიები, წესრიგზე მოიყვანეს სპორტბაზები...

მაგრამ ყველგან ასეა?

1968 წელს — სტუდენტთა თამაშები!

„ლელო" ინტერვიუ

ახალი სასწავლო წლის დაწყების წინ ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილეს ზ. ფორაქიშვილს და რამდენიმე კითხვა მისცა. ვაქვეყნებთ ამ ინტერვიუს.

● რით ხვდებიან ახალ სასწავლო წელს სტუდენტი-სპორტსმენები?

— რესპუბლიკის სტუდენტთა 20-ათასიანმა არმიამ წარმატებით დაამთავრა სასწავლო წელი. მათგან 221 სპორტსმენმა ღირსეულად დაიცვა რესპუბლიკის სახელი სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში. საკმარისია ითქვას, რომ საქართველოს ნაკრებ გუნდებში ნახევარზე მეტი სტუდენტები იყვნენ. 9 კაცმა ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი, 13-მა — ვერცხლის, ხოლო 12-მა — ბრინჯაოს მედლით. სპარტაკიადის ოქროს მედალოსნები არიან საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები ო. ეგაძე და რ. რურუა, უნივერსიტეტის სტუდენტები შ. ლომიძე და ა. მეტრეველი, ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ლ. იევლევა...

სპარტაკიადაში წარმატებით გამოსვლას სჭედდნენ უნივერსიტეტის (ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის გამგე კ. ზაუტაშვილი), გორის პედინსტიტუტის (გ. ხაჩიძე), საქართველოს სასოფლო-სამეურნეო (თ. სხირტლაძე) და პოლიტექნიკური ინსტიტუტების (მ. კეკელიძე) კოლექტივები.

ახალ სასწავლო წელს უმაღლესი სასწავლებლების ფიზაღზრდის კათედრები განსაკუთრებით გაამახვილებენ ყურადღებას ფიზკულტურულ-მასობრივ მუშაობაზე, — 1968 წელს ხომ სტუდენტთა საკავშირო თამაშები გველის. ცხადია, ჩვენმა სტუდენტობამ ეს გამოცდაც კარგად უნდა დაიჭიროს. სწორედ ამას ემსახურება შარშანდელ სასწავლო წელს შექმნილი სპორტული დაოსტატების გაერთიანებული ჯგუფები. 17 ასეთი ჯგუფი მუშაობს უნივერსიტეტში, პოლიტექნიკურ, თბილისის და გორის პედაგოგიურ ინსტიტუტებში მხოლოდ ოსტატებით, ოსტატობის კანდიდატებითა და პირველთანრიგოსნებით დაკომპლექტებულ ამ ჯგუფებს გამოცდილი პედაგოგები და მწვრთნელები ამეცადინებენ. ამჟამად აქ ოსტატობას იმაღლებს 344 მოწინავე სტუდენტი-სპორტსმენი. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ წლეულს სოხუმის პედინსტიტუტში გაიხსნა ფიზაღზრდის ფაკულტეტი, რომლის პირველ კურსზე 25 სტუდენტი ისწავლის. აქ მომზადდებიან ფიზაღზრდის მასწავლებლები რესპუბლიკის მთიანი რაიონებისთვის. 1968 წელს ამგვარი ფაკულტეტი გაიხსნება ბათუმის პედინსტიტუტშიც.

● როგორ იმუშავეს ამ ზაფხულს რესპუბლიკის სტუდენტთა სპორტულ-გამაჯანსაღებელმა ბანაკებმა?

— სტუდენტთა აქტიური დასვენების ეს მნიშვნელოვანი ფორმა სულ უფრო ფართო მასშტაბებს იძენს ჩვენში. ამ საქმის ვეტერანებს — უნივერსიტეტელებს და თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტებს წლეულს მხარი აუბეს თბილისისა და თელავის პედინსტიტუტებმაც. მეორე წელია საბანაკო ცხოვრებას ეწევიან გორის პედინსტიტუტის სტუდენტები, ხოლო სოხუმის პედაგოგიურმა ინსტიტუტმა წლეულს მესამედ მოაწყო ბანაკი.

რესპუბლიკაში 6 უმაღლესი სასწავლებლის 1000-ზე მეტმა სტუდენტმა გაატარა ზაფხული გამაჯანსაღებელ ბანაკებში. მაგრამ ეს ცოტაა, საჭიროა დანარჩენმა ინსტიტუტებმაც იფიქრონ სტუდენტთა დასვენების ამ საუკეთესო ფორმის გამოყენებაზე.

● როგორ მიმდინარეობს რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების სპორტბაზების მშენებლობა?

— წლეულს დამთავრდება ბათუმის პედინსტიტუტის კალათბურთის, ფრენბურთისა და ხელბურთის მოედნების მშენებლობა. ასეთივე ბაზები შევიდა მწყობრში თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმში. წლევანდელი გეგმით გათვალისწინებულია პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის დარბაზების მშენებლობა. სოხუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმს გამოუყვეს მიწის ნაკვეთი მოედნებისა და მძლეოსნური სექტორების მოსაწყობად.

ჯერჯერობით კიდევ დაუმთავრებელია პოლიტექნიკური ინსტიტუტის საცურაო აუზის რეკონსტრუქცია, გაჭიანურდა ბაკურიანის სამთო-სათხილამურო ბაზის რემონტი. ერთი სიტყვით, გვაქვს რამდენიმე აქტუალური, მნიშვნელოვანი პრობლემა...

ზარის დარეკვამდე

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისთვის სამზადისში გაგრის რაიონის სპორტსკოლამ აფხაზეთის მოსწავლეთა ნაკრებს 39 კანდიდატი მისცა. 9 მოსწავლემ საქართველოს ნაკრებში დაიმკვიდრა ადგილი, 4 კი ლენინგრადში, მოსწავლეთა სპარტაკიადაში ასპარეზობდა. მე-4 საშუალო სკოლის მოსწავლემ ვ. ვოლკოვამ აფხაზეთის გოგონათა 4 ახალი რეკორდი დაამყარა ცურვაში, ხოლო მისმა თანასკოლელმა მძლეოსანმა ვ. მაირომიანმა ჭაბუკთა საკავშირო ნაკრებში მოიპოვა ადგილი.

რაიონის სკოლებში ფიზკულტურული საქმიანობის ერთგვარ გაუმჯობესებას ისიც ადასტურებს, რომ გაგრელებმა აფხაზეთის მოსწავლეთა სპარტაკიადაში რამდენიმე საფეხურით აიწიეს და საერთო III ადგილი დაიკავეს.

მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ყოველივე ეს ზღვაში წვეთია იმ შესაძლებლობებთან შედარებით, რაც აქაურ ჭაბუკებსა და გოგონებს გააჩნიათ.

მაინც რა აფერხებს შემდგომ წინსვლას?

სპორტსკოლის დირექტორმა თ. კონონოვმა გვითხრა: ბაზების სიმცირეო. მართლაც, რაიონში ვერ ნახავთ ვერც ერთ სკოლას, რომელსაც სრულყოფილად ჰქონდეს მოგვარებული ფიზკულტურული საქმიანობა — მას ან სპორტნაგებობა აკლია, ან ინვენტარი, ან ხეირიანი კადრების სიმცირეს განიცდის.

მივმართოთ ფაქტებს. გაგრის 1-ლ (დირექტორი დ. არაქამია, ფიზკულტურის მასწავლებელი ე. კარამიანცი) და მე-3 საშუალო (ხ. ბოჯოლიანი, ა. ატულიანი) სკოლებს შარშან საექსპლოატაციოდ გადაეცათ ახალი, ტიპიური პროექტით აგებული, კეთილმოწყობილი ნაგებობანი, რომლებსაც, რა თქმა უნდა, კარგი სპორტდარბაზებიც აქვთ. მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთი მათგანი არ გახლავთ ინვენტარით სათანადოდ აღჭურვილი. აქ არც ღია სპორტული ბაზები გააჩნიათ.

კარამიანცს, როგორც ფიზაღზრდის სპეციალისტს, არ ემდურიან — მის გაკვეთილს წუნს ვერ დავდებთ. მაგრამ ეს პედაგოგი უინიციატივოა, ღია ბაზების მოწყობას თავი ვერ მოაბა, დაბალ დონეზეა კლასგარეშე მუშაობა და აქედან გამომდინარე, სკოლაში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული საქმიანობაც მოიკოჭლებს. ამის საილუსტრაციოდ ისიც კმარა,, თუ ვიტყვით, რომ 1-ლი სკოლის მოსწავლეებმა რაიონულ სპარტაკიადაში მხოლოდ VIII ადგილი დაიკავეს.

ასეთივე მდგომარეობაა მე-3 სკოლაშიც,

გაგრის იმ 39 მოსწავლიდან, რომლებიც წლეულს აფხაზეთის ნაკრებში გამოდიოდნენ, მე-2 საშუალო სკოლის (დირექტორი ა. ლაკერბაი, ფიზაღზრდის მასწავლებელი ლ. დოვლათოვი) 16 აღსაზრდელია, მაგრამ ამაში სკოლის ფიზკულტურული კოლექტივის დამსახურება ერთობ მცირეა. თავად განსაჯეთ: შესანიშნავ სპორტდარბაზში თითქმის არავითარი ინვენტარი არ მოიძებნება, სკოლას არც ერთი მოედანი არ გააჩნია. უეჭველია, დარბაზი სათანადო ინვენტარით უნდა აღიჭურვოს და სპორტული მოედნებიც მოეწყოს, ფიზაღზრდის მასწავლებელმა საქმიანობა გაცილებით უფრო ენერგიულად უნდა წარმართოს და სკოლასაც ნამდვილად კარგი მაჩვენებლები ექნება.

სამაგალითოა გაგრის მე-4 საშუალო სკოლა (დირექტორი ა. კაცია, ფიზაღზრდის მასწავლებელი გ. ფაფაზიანი). შარშან „ლელო" წერდა, რომ სამეცადინო ფართობის სიმცირის გამო აქ სპორტდარბაზი საკლასო ოთახებად გადააკეთეს და იქვე დასძენდა: დირექცია ახალი დარბაზის აგებას აპირებსო. მაგრამ მდგომარეობა წლეულსაც უცვლელია, ვინაიდან გაგრის განაშენიანების გენერალური პროექტი სკოლასთან რაიმე შენობის აგებას კრძალავს. და აი, უდარბაზობის გამო ზამთრობით გაკვეთილები დერეფანში ტარდება. რაც შეეხება ღია ბაზებს, ისინი კეთილმოწყობილი და მოვლილია, ცურვის სექციაც ნაყოფიერად მუშაობს ზღვაზე. მე-2 სკოლისა არ იყოს, აფხაზეთის ნაკრებში მე-4 სკოლიდანაც 16 მოსწავლეა, მაგრამ ამ შემთხვევაში სასწავლებლის ფიზკულტურულ კოლექტივს თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვის.

ახლა რაიონის სოფლების საშუალო და რვაწლიან სკოლებში შევიხედოთ. პერსპექტიულია ბიჭვინთის საშუალო სკოლის მომავალი. სკოლას აქვს პირველხარისხოვანი დარბაზი და ფეხბურთის კარგი მინდორი, რომელიც „ბიჭვინთმშენის" სპორტის მოყვარულებსაც ემსახურება. აქვეა მარტივი ტიპის სარბენი ბილიკები და სახტომი ორმოები. სკოლის მახლობლად მდებარე ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები კი ძალზე უხეიროა.

ხეივანსა და განთიადში 2-2 საშუალო სკოლაა. ხეივნის საშუალო სკოლები, როგორც წყლის წვეთები, ისე გვანან ერთმანეთს: ორივეს აქვს ღია ბაზები, სახტომი ორმოები, თუნდაც მარტივი ტიპის დარბაზი კი — არც ერთს.

სულ სხვაა განთიადში. 1-ლი სკოლის დირექციამ დროულად იზრუნა ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნების, სიგრძეზე და სიმაღლეზე სახტომი ორმოების მოსაწყობად. მე-2 საშუალო სკოლაში კი დღემდე ვერ შეძლეს ბავშვებისთვის შეექმნათ ფიზკულტურული მეცადინეობის ნორმალური პირობები. სკოლის დირექციაში თავი იმართლეს: კოლმეურნეობის გამგეობამ მიწის ნაკვეთი არ გამოგვიყოო. მაგრამ ეს ვერაფერი საბუთია. უდარბაზობის გამო ამ სკოლებში ფიზკულტურის გაკვეთილები ხან დერეფანში ტარდება, ხანაც მასწავლებლები სხვადასხვა ამბის მოყოლით იქცევენ თავს.

ძალიან ცუდადაა ფიზკულტურის საქმე ბაღნარის საშუალო სკოლაში. აქ თავს იმართლებენ: მთის სოფელია, ბაზების მოწყობა არ ხერხდება, უამისოდ კი შეჯიბრებები სად გავმართოთო? უსუსური არგუმენტია..

... თუ რაიონის საშუალო სკოლებში ფიზკულტურის სწავლებაში ამდენი ხარვეზია, რვაწლიან სკოლებში რაღა იქნება? მართლაც, როგორც სპორტსკოლის დირექტორმა გვითხრა, ბევრ სკოლას დარბაზი კი არა, ფრენბურთისა და კალათბურთის ხეირიანი მოედნებიც არ გააჩნია.

ახლა რამდენიმე სიტყვით სპორტსკოლის საქმიანობასაც შევეხოთ: ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, თავისუფალი ჭიდაობის, ფარიკაობისა და მძლეოსნობის ჯგუფებში 252 მოსწავლეა გაერთიანებული. განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობენ ფეხბურთის (ნ. გვასალია) და ფარიკაობის (რ. ჯოლოგუა) ჯგუფები. ამ სახეობებში გაგრელებმა წლეულს აფხაზეთში პირველობა მოიპოვეს.

კარგი მაჩვენებლები აქვთ კალათბურთელებსა და მოჭიდავეებსაც. არსებობის 16 წლის მანძილზე სპორტსკოლამ ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი გამოავლინა და აღზარდა, მაგრამ სამწუხაროა ის, რომ მას არც საკუთარი სპორტბაზები გააჩნია და არც შენობა, რის გამოც მეცადინეობა ქალაქის ბაზებზე ტარდება, დირექცია კი სპორტკავშირსაა შეკედლებული. აქ განსაკუთრებით საცურაო აუზისა და დარბაზის უქონლობას განიცდიან. ამ ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად პირველი ნაბიჯი გადაიდგა: რაიონის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით განათლების განყოფილებამ წლეულს განიზრახა აუზისა და დარბაზის აგება და სათანადო პროექტებიც იშოვეს. თუ ამ საქმეში კოოპერირების მეთოდს გამოიყენებენ და მშრომელთა გამაჯანსაღებელ და მასობრივ-სპორტული მუშაობისთვის გათვალისწინებულ სახსრებს ერთად მოუყრიან თავს. საქმე დაწინაურდება. ეს აუცილებელიცაა, ვინაიდან ამ საუცხოო კურორტს, მის მოსწავლე-ახალგაზრდობას უნდა ჰქონდეს დარბაზი, აუზი და სხვა სპორტნაგებობანი.

ო. გელაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).
გაგრის რაიონი,

◆

მიიწურა ზაფხული. ხვალ გურჯაანელი მოსწავლეებიც მერხებს მიუსხდებიან. ჯერჯერობით კი ისინი ბუნების წიაღში დანავარდობენ — ახლა, მაგალითად, ცურვაში ასპარეზობენ. სწორედ ეს მომენტი აღბეჭდა ამ სურათზე ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა ვ. ბუკინმა.

◆

ჯანმრთელი რომ იყო...

ახალი სასწავლო წელი ყოველთვის დღესასწაულია. და აი, ხვალ ჩვენი ნორჩები მერხებს მიუსხდებიან. სხვა საგნებთან ისინი ფიზიკურ კულტურასაც დაეწაფებიან. ფიზკულტურის გარეშე ცხოვრება უკვე წარმოუდგენელია. რომ აშენო და შექმნა, საჭიროა გქონდეს მძლავრი ხელები, იყო ჯანმრთელი და მხნე. ყოველივე ამას კი ფიზიკური კულტურა იძლევა.

საქართველოს მოსწავლეთა რიგებში 837.583 ჭაბუკი და გოგონაა. ამ მრავალათასიანი არმიის 80 პროცენტი ჩაბმულია კლასგარეშე ფიზკულტურულ მეცადინეობაში. ნორჩი ფიზკულტურელები მასობრივ შეჯიბრებათა და ტურისტულ ლაშქრობათა მონაწილენი არიან. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეებისთვის რესპუბლიკაში გახსნილია ბავშვთა 69 სპორტული სკოლა, რომლის კონტინგენტი 30.000-ზე მეტია. ამ სკოლებში ბავშვები სპორტის 28 სახეობას ეუფლებიან.

საერთოდ, რესპუბლიკის საშუალო სკოლებში ყოველი მეოთხე მოსწავლე სპორტში მეცადინეობს — ესენი უშუალოდ სასკოლო სექციებში მეცადინეობენ.

ამჟამად ფიზკულტურის მასწავლებლებს შორის გვყავს 25 დამსახურებული პედაგოგი და სახალხო განათლების ოცდაათამდე წარჩინებული. მრავალი მოწინავე მასწავლებლის დასახელება შეიძლებოდა. მაგალითად, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი გ. ღლონტი (თბილისის 77-ე სკოლა), გ. გაბიტაშვილი (51-ე სკოლა), ს. ზურაბოვი (31-ე სკოლა) და სხვ. აღსანიშნავია, რომ წლეულს ზუგდიდის 1-ლი სკოლის (ფიზაღზრდის მასწავლებელი ა. დიდიშვილი) მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით მოეწყო ახალი სტადიონი, კომპლექსური მოედნები, მძლეოსნური სექტორები და სპორტდარბაზი. ასეთი მაგალითი ცოტა როდია. საქართველოს სპორტკავშირთან ერთად შარშან რესპუბლიკაში ჩავატარეთ სასკოლო ბაზების მშენებლობის ერთთვიური. საქართველოს სპორტულ რუკაზე მოინიშნა 22 ახალი დარბაზი, 7 სპორტული ოთახი, კალათბურთის 168 და ფრენბურთის 178 მოედანი, 102 მძლეოსნური სექტორი და სხვ. ასეთი ერთთვიური წლეულსაც ჩატარდება.

და მაინც უნდა შევნიშნოთ, რომ რესპუბლიკის სკოლებში ბაზების რაოდენობა ჯერ კიდევ უკმარია, თანაც დარბაზებისა და მოედნების მშენებლობა კვლავ ნელი ტემპით მიმდინარეობს. სასკოლო ბაზების აგება ადგილობრივი ორგანოების თაოსნობით წარმოებს. საჭიროა, ორგანიზებული წესით გამოიყოს სახსრები სასკოლო დარბაზების, საცურაო აუზებისა თუ სტადიონების მშენებლობისთვის. საამისოდ საკმარისი რაოდენობის სახსრები უნდა გამოყონ საწარმო-დაწესებულებებმა, კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა... ზემდგომი ორგანოების დადგენილებით ამგვარი ობიექტები ხომ სახელმწიფო კაპიტალურ მშენებლობებთანაა გათანაბრებული და, ბუნებრივია, მათთან თანაბრად უნდა იყვნენ უზრუნველყოფილი საშენი მასალებით.

რესპუბლიკის საშუალო სკოლებში კლასგარეშე სპორტული საქმიანობა უფრო სისხლსავსე რომ გახდეს. კარგი იქნებოდა მასში უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის, უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა. მათ ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთება შეუძლიათ მოსწავლეთა სპორტული დაოსტატებისთვის.

შეგვიძლია ერთი სასიხარულო ცნობაც მოგაწოდოთ: ხვალ ჩვენს ნორჩებს სტუმართმოყვრულად გაუღებს კარს 23 ახალი სპორტული სკოლა.

ი. ბაცელაშვილი,
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზაღზრდისა და სპორტის განყოფილების უფროსი.

გ. მერკვილაძე,
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზაღზრდის მეთოდური კაბინეტის გამგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible]

ფეხბურთის სტატისტიკის მოყვარულთ ვაწვდით ცსკა-სა და მოსკოვის „სპარტაკის“ გუშინწინდელი მატჩის ზოგიერთ დეტალს.

„სპარტაკი“, როგორც ცნობილია, 16 ტური იბრძოდა დაუმარცხებლად. 32 შესაძლებლიდან გუნდს დაგროვილი ჰქონდა 27 ქულა! ასეთი სპურტის წყალობით სპარტაკელებმა აუტსაიდერთა რიგებიდან მესამე ლიდერის რანგს მიაღწიეს. მაგრამ ასეთივე პროგრესიის გზაზე იდგა ცსკა-ც, რომელმაც ბოლო 5 ტური წაუგებლად ჩაატარა საკუთარ თუ მოწინააღმდეგეთა მინდვრებზე.

ამ ორი გუნდის შეხვედრა, როგორც მოსალოდნელი იყო, უაღრესად საინტერესო ბრძოლაში მიმდინარეობდა, ანგარიში გახსნა არმიელმა პოლიკარპოვმა, ხოლო საპასუხო ბურთი გაიტანა ჰუსაინოვმა. შემდეგ პრიბილოვმა დააწინაურა „სპარტაკი“, მაგრამ ფედოტოვმა და შულიატიცკიმ (პენალტი) უზრუნველყვეს ცსკა-ს გამარჯვება — 3:2.

I „ა“ [illegible] ჯგუფი

ავტობუსი მიდიოდა სტადიონზე...

შეიძლება ითქვას, რომ არასოდეს მოუყრია თავი წითელწყაროს სტადიონზე ამდენ მაყურებელს და ასე არ შესტკიოდა გული... სტუმრებისთვის, როგორც ამჯერად. და საქმე მხოლოდ ის კი არ იყო, რომ ადგილობრივ „შირაქთან“ თამაშობდა ქვეჯგუფის ლიდერი— სიღნაღის „მშენებელი“.

... ეს ამბავი მოხდა მატჩის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე. სიღნაღელი ფეხბურთელები სათამაშოდ მიემგზავრებოდნენ. ავტობუსი ტბის პირას მიემართებოდა, როცა ერთ-ერთმა ფეხბურთელმა ყურადღება მიაქცია, რომ შუა ტბაში ვილაც ფართხალებდა.

გაჩანებული ავტობუსიდან გადმოხტა არჩილ ხესიტაშვილი. რამდენიმე წუთი და იგი იმ ადგილას გაჩნდა, სადაც წყალში ჩავარდნილი ადამიანი შეამჩნია. ფეხბურთელმა შეძლო გამოეყვანა ნაპირზე ხიფათში ჩავარდნილი 15 წლის ნანი გურაშვილი. როგორც კი მოვიდა გონზე, გოგონამ ტირილით თქვა:

— იქ ჩემი ამხანაგია.

მეორე გოგონას გადარჩენა უფრო ძნელი გამოდგა. არჩილსა და მის მეგობრებს — ტარიელ ელიზბარაშვილსა და გრიგოლ მუსტაევს მყვინთავის ხელოვნების გამოჩენა დაჭირდათ. გაჭირვებით იპოვნეს მათ ნადეჟდა სეფიაშვილი და ძლივს დაუბრუნეს იგი სიცოცხლეს.

გოგონათა გადარჩენის ამბავი მაშინვე მოედო წითელწყაროს. და ყველა მაცხოვრებელი მოვიდა სტადიონზე, რათა ღირსეული პატივი ეცა სპორტსმენებისთვის.

ზ. ლომიძე,
გ. ჭანიშვილი.
(საკდესის კორ.).

რედაქციისაგან: ვაქვეყნებთ რა ამ წერილს, საჭიროდ მიგვაჩნია ვაცნობოთ მკითხველებს, რომ აღნიშნული მატჩი საქართველოს პირველობაზე II ქვეჯგუფის I ზონაში მოიგო სიღნაღის „მშენებელმა“ — 1:0. გამარჯვებული სტუმრები ტაშით გააცილეს მინდვრიდან.

მოთხრობები ჩემპიონებზე

შტანგის რაინდი

ბედნიერი მღელვარებისგან ოდნავ გაფითრებული, ქერათმიანი იანი მსუბუქად შეხტა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე და „შახტიორის“ საჩოგბურთო კორტის თაღებქვეშ მეგობრულმა ტაშმა იჭუხა. ათასობით მოსკოველი მიესალმა სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადის გმირს, იმან კი პასუხად ღონიერი ხელები შემართა და მზად იყო მთელი სამყარო ჩაეკრა მკერდში...

გაივლის 50 ან 100 წელი, ქვემძიმე წონის ძალოსნები, იქნებ, სამჭიდში დაახლოებით 600 კილოგრამსაც შეეჭიდონ, მაგრამ სპორტული ჟურნალისტები, სპორტის მოყვარულები არასოდეს დაივიწყებენ ესტონელ გოლიათ იან ტალტსს, რომელმაც 1967 წლის 1 აგვისტოს გახსნა 500-კილოგრამიანების ეპოქა ამ წონის ათლეტთათვის. 502,5 კგ — აი, რაოდენ ფანტასტიური ჯამი აჩვენა 23 წლის ვაჟკაცმა, რომელმაც პირველად მოიხვეჭა სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი. გზად ტალტსმა კიდევ მსოფლიოს 2 რეკორდი დაამყარა: ატაცი — 151 კგ, აკვრა — 193,5.

ტალტსმა ისე სწრაფად დაიკავა ადგილი მსოფლიოს უძლიერეს ძალოსანთა პირველ რიგებში, რომ სპორტის დამფასებელთა უმრავლესობისთვის თავისი ტრიუმფის დღისთვის იგი ნაკლებად ცნობილი პიროვნება გახლდათ. პრესამ ვერ მოასწრო მოეთხრო მისი სპორტული ბიოგრაფია და ხასიათი.

სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელებმაც კი ტალტსი მხოლოდ წლინახევრის წინათ გაიცნეს, როცა მოკლევადიან შეკრებაზე მიიწვიეს რამდენიმე ახალგაზრდა ათლეტი. მათ შორის იყო სსრ კავშირის 1964 წლის ჩემპიონი იუნიორებში ი. ტალტსი. ახალბედამ სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა, მაგრამ მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ რამდენიმე თვის შემდეგ ეს მონდომებული ჭაბუკი ჩვენი ოლიმპიური იმედი გახდებოდა და ნაკრებში შეავიწროებდა ისეთ სახელგანთქმულ ქვემძიმეწონოსნებს, როგორიც არიან ოლიმპიური ჩემპიონი ვ. გოლოვანოვი, სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონი ე. ბროვკო, მსოფლიო რეკორდსმენი ა. კალინიჩენკო.

... არის ესტონეთში სოფელი მასიარუ. აქ 1944 წლის 19 მაისს დაიბადა იან ტალტსი. იგი ერთადერთი შვილი როდი იყო აუგუსტა და საალმე ტალტსების ოჯახში — 3 ძმა და ამდენივე და ჰყავდა. ასეთ ოჯახებში უმცროს ბავშვებს სურთ უფროსებს დაემგვანონ. მემკვიდრეობით გადაეცემა არა მარტო პერანგები და ფეხსაცმელები, არამედ გემოვნებაც, ჩვეულებაც, ხასიათის თვისებებიც.

თავდაპირველად იანი აღმერთებდა უფროს ძმას ანტსს, რომელიც შოფრად მუშაობდა საბჭოთა მეურნეობაში და ვეებერთელა ბიცეპსები ჰქონდა. ღონით გამოირჩეოდნენ სხვა ძმებიც, განსაკუთრებით მატე — საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი.

სკოლაში იანი სპორტულ ყმაწვილად ითვლებოდა. მოკლე მანძილებზე რბენაში ჩემპიონი იყო, ურიგოდ არც ხელყუმბარას ისროდა, კარგად ცურავდა და განსაკუთრებით გამოირჩეოდა ფრენბურთის მოედანზე. შვიდწლედის დამთავრების შემდეგ 15 წლის იანი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში შევიდა და აქ პირველად იხილა „ბუნებრივი“ შტანგა. მაგრამ ჯერ ორფუთიანი საწონით დაინტერესდა. მისმა ერთ-ერთმა თანაკურსელმა შესაშური სიმსუბუქით აჭიმა ორფუთიანი საწონი და შესთავაზა იგივე გაეკეთებინა ტალტსს.

— რა მოხდა ასეთი? — გაიფიქრა იანმა, — მეც შევძლებ.

მაგრამ საწონი არ დაემორჩილა მას, რამაც ძალიან გააბრაზა მარცხით შემცბარი ჭაბუკი. მთელი ღამე არ უძინია: ფიქრობდა, როგორ გამხდარიყო ყველაზე ღონიერი ტექნიკუმში. მეორე დღეს ბიბლიოთეკაში მოიკითხა წიგნები ძალოსნებზე. კითხულობდა და ოცნებობდა: „მეც ვიქნები ოდესმე ასეთი...“ და არა მარტო ოცნებობდა.

ტექნიკუმში იყვნენ მეორე და მესამეთანრიგოსანი ძალოსნები. მათ არავინ ასწავლიდა ძალოსნურ ოსტატობას, მაგრამ ისინი მიემგზავრებოდნენ ნამდვილ შეჯიბრებებზე და კარგ ათლეტებადაც ითვლებოდნენ. მათთან მოუხშირა სიარულს ქვეყნის მომავალმა ჩემპიონმა. იანი არც ერთ ვარჯიშს არ აცდენდა და ძალიან ბრაზდებოდა, როცა ვინმე მის გატაცებას უშლიდა ხელს.

როცა ტალტსმა ჩაიფიქრა ძალოსანი გამხდარიყო, 55 კილოგრამს იწონიდა, ანუ მჩატე წონისა იყო. წვრთნის ყოველი წელი იანს ამხანაგთა თვალში ამაღლებდა. ორფუთიანი საწონი მან უკვე მეცადინეობის პირველსავე წელს დასძლია. ყოველწლიურად ათლეტი 10 კგ-ს იმატებდა წონაში. სწრაფად ეზრდებოდა კუნთები, დამაჯერებლად მიიწევდა ზევით სპორტული შედეგებიც. ტექნიკუმი ტალტსმა პირველთანრიგოსნად დაამთავრა, ნამდვილი სპორტული ოსტატობა კი არმიაში სამსახურისას შეიძინა.

მას ბედნიერება ხვდა წილად გაცნობოდა შესანიშნავ უკრაინელ ძალოსნებს. კიევში ვარჯიშისას ტალტსი საათობით შესცქეროდა შტანგის უზადო ოსტატის ვ. ბელიაევის წვრთნას. იგი ხომ მისი სახელოვანი თანაკლუბელი იყო. და როცა 1964 წლის თებერვალში იანი ახალგაზრდა ძალოსანთა საკავშირო შეჯიბრებაში გამოვიდა, სპეციალისტებმა არა მარტო ნიჭიერი სპორტსმენი დაინახეს, არამედ ჭკვიანი მებრძოლიც. განსაკუთრებით დამაჯერებლად ასრულებდა 19 წლის ჯარისკაცი აკვრას. 160 კილოგრამის აკვრით მაშინ ტალტსმა ქვეყნის იუნიორი რეკორდსმენების სიაში ამოყო თავი. მალე სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა და... რამდენიმე ხანს სპეციალისტთა თვალს მიეფარა.

უდიდესმა დატვირთვებმა, უსასრულო დამოუკიდებელმა ექსპერიმენტებმა ათლეტი იქამდე მიიყვანა, რომ მას ხან ზურგი ტკიოდა, ხან — მუხლები. მთელი 1965 წელი იანმა მკურნალობასა და ოსტატობის ზრდის უფრო გონიერი გზის ძებნას მოანდომა. და მან იპოვა იგი. პირველ ადგილზე ტალტსმა ჯანმრთელობისთვის ზრუნვა დააყენა. მან გაიხსენა თავისი გატაცება მძლეოსნობითა და ფრენბურთით.

1966 წელი იანისთვის დიდი წარმატებით დაიწყო. საუცხოო იყო მისი დებიუტი რიგის საერთაშორისო შეჯიბრებაში „მეგობრობის თასზე“. შემდეგ ნოვოსიბირსკში დაისაკუთრა სსრ კავშირის ჩემპიონატის ვერცხლის მედალი, ხოლო აგვისტოში მსოფლიო სეზონის საუკეთესო შედეგი — 482,5 კგ აჩვენა.

ეს სწრაფი აღზევება მოულოდნელად შეწყდა ბერლინის მსოფლიო ჩემპიონატში. ტალტსმა — ქვემძიმე წონაში ოქროს მედლის მთავარმა პრეტენდენტმა — გუნდს უეცრად ნოლი „შესძინა“. სამჯერ შეეცადა მისთვის უმნიშვნელო კილოგრამები (147,5) აეჭიმა და სამივეჯერ დაარღვია წესები. მსოფლიო ჩემპიონი გახდა უნგრელი გ. ტოტი, რომელმაც სამჭიდში 485 კგ დააგროვა. იანი მეტისთვის იყო მზად,—ბერლინში გამგზავრების წინ აღგვითქვა: 490 კილოგრამს დავაგროვებო...

თავზარდაცემული სპორტსმენისთვის საყვედური არც ერთ მწვრთნელს არ უთქვამს. გუნდის უფროსმა, სახელგანთქმულმა ა. ვორობიოვმა გამამხნევებლად უთხრა: „წაგება და მოგება ძმებიაან. შენ კიდევ უჩვენებ, რა ბიჭიცა ხარ!“

და ტალტსმა გადაწყვიტა თავისი წარუმატებლობის ორი დღის შემდეგ იქვე, ბერლინში, კვლავ გამოსულიყო ფიცარნაგზე. მართალია, ეს არ იყო ოფიციალური ფიცარნაგი, — იქაურ არმიელებთან სტუმრად მყოფი ათლეტი რეკორდების დასამყარებლად გამოდიოდა. ამჯერად შტანგა დაემორჩილა ათლეტს და იანმა, პირველმა მსოფლიოს ქვემძიმეწონოსანთა შორის, სამჭიდში 490 კგ აჩვენა. და მაინც მოსკოვში მეტისმეტად ნაღვლიანი ჩავიდა. ყველაზე მეტად იანს ჟურნალისტები აჯავრებდნენ, რომლებიც წერდნენ, რომ მსოფლიო ჩემპიონატი ტალტსმა „ზედმეტი მღელვარებისგან“ წააგო.

— ხომ ვიცნობ ჩემს თავს, — ეუბნებოდა მეგობრებს ტალტსი, — აჭიმვა მხოლოდ იმიტომ არ გამომივიდა, რომ როგორც საჭიროა ვერ მოვასწარი მოთელვა. მე ვერ ვიგრძენი ეს მოძრაობა...

თავისი შემდგომი გამოსვლებით იანმა დაამტკიცა, რომ ღირსეული მემკვიდრეა „დიდი ქვემძიმეწონოსნის“ ა. ვორობიოვის დიდებისა. ისეთივე მიზანსწრაფმა, ისეთივე უშიშარმა მან ახლა მარცხი არ იცის ფიცარნაგზე. წლევანდელ აპრილში თბილისის საერთაშორისო შეჯიბრებაში მსოფლიო შედეგით მოიგო ასპარეზობა — 492,5 კგ. ივნისში ბულგარელი, თურქი და საბჭოთა ძალოსნების შეჯიბრებაში სოფიას იანმა მსოფლიო რეკორდის ჭერი 497,5 კილოგრამამდე ასწია და მსოფლიო რეკორდის მფლობელი გახდა აკვრაში — 193 კგ.

და აი, ი. ტალტსი სპარტაკიადის გმირია. სრული პასუხისმგებლობით ვამტკიცებ, ეს მხოლოდ დასაწყისია. იანისთვის ყველაზე დიდი გამარჯვებები წინაა. თავად განსაჯეთ: შეიძლება შეჩერდეს ისეთი ათლეტი, რომელიც თავისი ტრიუმფის მეორე დღესვე ძალოსნის ფორმაში გამოეწყო და მრავალფუთიან შტანგას მეშვიდე ოფლის მოდენამდე დაეჭიდა?

— ახლა უფლებაც კი არ მაქვს ცოტა ავწიო, თორემ იტყვიან: იანს თავს გაუვიდაო, — მითხრა ტალტსმა, როცა ვკითხე, რისკენ ისწრაფვის.

„შტანგის რაინდი“, — ასე ეძახიან კეთილ იანს მეგობრები. ტალტსი ოცნებობდა ცნობილი ძალოსანი გამხდარიყო და გახდა კიდეც უდიდესი ჯაფის წყალობით. მალე სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ტალტსი იასპარეზებს მეხიკოში, ოლიმპიურ კვირეულში და იქაც უეჭველად შეეცდება, რომ კიდევ და კიდევ თქვან: „შესანიშნავი ჭაბუკია ეს იანი!“

დ. ივანოვი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

• • •

სურათზე: ი. ტალტსი შეჯიბრებისას.

ძველი ფოტოსურათები მოგვითხრობენ

ერთადერთი კეთილმოწყობილი



ლენინის სახელობის სტადიონი იყო არა მარტო თბილისის, არამედ ჩვენი რესპუბლიკის ერთადერთი კეთილმოწყობილი ბაზა, რომლის ჭიშკარიც მუდამ ღია იყო სპორტის ყველა მოყვარულისთვის. ამ სტადიონზე ეწყობოდა ფეხბურთელთა, მძლეოსანთა, ძალოსანთა, ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრებები, აქ იკაჟებდა სხეულს თბილისის პროლეტარული ახალგაზრდობა.

სურათზე აღბეჭდილია საქართველოს დედაქალაქის ნორჩ ტანმოვარჯიშეთა მასობრივი ვარჯიში ლენინის სახელობის სტადიონზე 1922 წელს.

ი. სპესივცევის ბედნიერი წელიწადი

რუსულ შაშში თბილისის ჩემპიონის სახელისთვის ი. სპესივცევ — ვ. კანდელაკის მატჩში გაიმარჯვა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა, ოსტატობის კანდიდატმა სპესივცევმა. მან მოიგო IV პარტია და მატჩიც — 3,5:0,5.

წლევანდელი სპორტული წელი კარგად დაებედა სპესივცევს (მწვრთნელი — ოსტატი თ. ბარამიძე): მან ზედიზედ მოიხვეჭა რუსულ შაშში საქართველოსა და თბილისის, ხოლო ასუჭრიან შაშში — თბილისის ჩემპიონის წოდება. ნიჭიერი მოშაშის სახით რესპუბლიკას მზარდი სპორტსმენი ჰყავს.

ხ. პახლაჯიანი,
მატჩის არბიტრი, სპორტის ოსტატი.

მწვრთნელები ამჟღავნებენ საიდუმლოებას

5. ფეხბურთელები ავტომატები არ არიან

მატ ბასბი
(ინგლისი)

რამდენიმე სიტყვა სტატიის ავტორზე. მ. ბასბი დაიბადა 1910 წელს ქ. ორბისტონში (ლანკაშირი). თამაში დაიწყო 1928 წელს მანჩესტერში, ხოლო შემდეგ გამოდიოდა ლივერპულში, შოტლანდიაში. ომმა შეწყვიტა მისი საფეხბურთო კარიერა. დემობილიზაციის შემდეგ მ. ბასბიმ მუშაობა დაიწყო სახელგანთქმულ „მანჩესტერ იუნაიტედში“ და დღემდე უცვლელად იმყოფება ამ კლუბში. მ. ბასბის ხელმძღვანელობით „მანჩესტერ იუნაიტედმა“ 1948 წელს მოიგო ინგლისის თასი, ხოლო 8 წლის შემდეგ ჩემპიონი გახდა. მას შემდეგ, რაც უფროსი თაობის მოთამაშეები შეცვალეს ახალგაზრდებით, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ 1955-56 წლების სეზონში კვლავ მოიპოვა ინგლისის ჩემპიონობა. სწორედ იმ ხანებში, როცა გუნდი აყვავების პროცესში იმყოფებოდა, საავიაციო კატასტროფაში მოჰყვა ბელგრადში ნათამაშევი მატჩის შემდეგ და რამდენიმე მოწინავე ფეხბურთელი დაეღუპა. თვით მ. ბასბი სასწაულებრივ გადაურჩა სიკვდილს მძიმე ტრავმების შემდეგ. მის მიერ ხელახლა შექმნილმა კოლექტივმა 1963 წელს მოიგო ინგლისის თასი, ხოლო 2 წლის შემდეგ — ჩემპიონის წოდება.

გუნდის ვარჯიშს, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით, ერთობ ცოტა აქვს საერთო იმასთან, რასაც ბევრი გულშემატკივარი ფიქრობს. როცა ფეხბურთის რიგით გულშემატკივარს ელაპარაკები წვრთნაზე, მას წარმოუდგება ასეთი სურათი: თეორიული ხასიათის საუბარი დაფასთან და სხვადასხვაგვარი ტაქტიკური გეგმები.

მაგრამ გუნდის ვარჯიში გაცილებით უფრო ვრცელი და მრავლისმომცველი ამბავია. მე სრულიადაც არ მსურს ეს „მიწიერი“ სამუშაო ზედმეტი იდუმალებით შევამკო ან შევაფერადო, როცა მას ხელოვნების თავისებურ სახეობას ვუწოდებ. მთელი საქმე ისაა, რომ მხოლოდ ნახაზებისა და დაფის საშუალებით უბრალოდ შეუძლებელია ამოქაჩო მოთამაშისგან ყველაფერი კარგი, რაც მას გააჩნია. უნდა აიძულო თვითეული მოთამაშე მაქსიმალურად გახსნას თავისი შესაძლებლობანი და ამ პროცესში საუკეთესო შედეგებს მიაღწიო მთლიანად გუნდთან მუშაობისას.

დიდ ბრიტანეთში გუნდის მენაჯერი იმასვე აკეთებს, რასაც უცხოეთში მისი კოლეგები. მას სურს ზედმიწევნით იცოდეს თვითეული მოთამაშის ძალა, უნარი და შესაძლებლობანი, ჰქონდეს მათთან ინდივიდუალური მიდგომა. საეჭვო არაა, რომ ზოგიერთ მოთამაშეს მკაცრად უნდა მიუდგე მაშინ, როცა სხვების მიმართ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება „ძალმომრეობის პოლიტიკის“ გამოჩენა.

მენაჯერის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ სწორად გაიანგარიშოს მოთამაშის როლი გარკვეული ამოცანების შესრულებისას და, ამასთან, ზოგიერთ მათგანს დაუთმოს მეტი დრო, ვიდრე სხვებს, ეცადოს დაუმორჩილოს ფეხბურთელები გუნდისთვის შემუშავებულ მთლიან სისტემას ისე, რომ არც ერთმა ცალკეულმა სპორტსმენმა არ დაკარგოს ინდივიდუალობა და თავისებურებანი.

ჩვეულებრივ, ჩვენ ვიწყებთ ახალგაზრდებით, ვინაიდან ისინი ყველაზე უფრო ადვილად ექვემდებარებიან წვრთნას. პირდაპირ გასაოცარია, როცა უყურებ, თუ რა რაოდენობის ახალგაზრდა ადამიანებს წარმოდგენაც კი არა აქვთ რომელ ადგილზე გაიფურჩქნება მთელი ძალით მათი ნიჭი და სად შეუძლიათ მოქმედება მაქსიმალური ეფექტით. ბევრი მათგანი სკოლაში ყოფნის პირველივე დღეებიდან გარკვეულ როლს ასრულებს და თუ მათ არ ეყოლათ მოსაზრებული და იდეებით მდიდარი მწვრთნელი, აზრადაც არ მოუვიდოდათ თავიანთი ამ როლის შეცვლა. მაგალითად, ბევრი ამ ჭაბუკთაგან დარწმუნებულია, რომ მისი დანიშნულებაა ცენტრალურ თავდამსხმელად თამაში, სინამდვილეში კი მას ყველა მონაცემი აქვს გახდეს პირველხარისხოვანი მცველი. და პირიქით, ახალგაზრდა მცველთა შორის შეხვდებით მოხერხებულ, სწრაფ ფეხბურთელებს, რომელთა პირდაპირი დანიშნულებაა მეტოქის კარის აღება. ზემონათქვამის ტიპიურ მაგალითად მოვიყვან შ. ბრენანს, რომელიც ახლა მარჯვენა მცველად თამაშობს „მანჩესტერ იუნაიტედში“. იგი ჩვენთან მოვიდა როგორც შუამარბი და ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ამ ადგილისთვისაა გაჩენილი. მე კი ამაში ასეთი კატეგორიულობით არ ვიყავი დარწმუნებული. და ბრენანმა თავისი ადგილი მოძებნა. იგი, როგორც ყოფილი თავდამსხმელი, საუკეთესოდ ხედავს მინდორზე შექმნილ სიტუაციას და სხვა მცველებზე უკეთ ერკვევა მათში.

ერთი სიტყვით, მწვრთნელმა მთელი თავისი გამოცდილება, მახვილი თვალი და ყურადღება უნდა გამოიჩინოს, როცა ფიქრობს მოთამაშისთვის საბოლოო ადგილის შერჩევაზე.

როცა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ 1948 წელს მოიგო ინგლისის თასი, ჩვენს ხელთ იყო ერთობ საიმედო, მრავლისაღმთქმელი შემადგენლობა. რამდენიმე წლის შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედი“ მართლაც ინგლისის საუკეთესო გუნდად იქცა, მაგრამ ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ დადგა ცვლილებათა ჟამი. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა გუნდის განახლება, რათა კრიტიკულ ასაკს მიღწეულ მოთამაშეებს დროზე ჰყოლოდათ შემცვლელები.

მართლა დადგა კი მომენტი ასეთი ცვლილებებისთვის? გამოირკვა, რომ დადგა. დ. ედვარდი, ე. კოლმანი, დ. პეგი და ზოგიერთი სხვა დროულად იყვნენ შეყვანილი ძირითად შემადგენლობაში და მუდმივი ადგილიც დაიმკვიდრეს. მაგრამ ეს ასე არ მოხდებოდა, რომ ისეთ გამოცდილ, მოწინავე მოთამაშეებს, როგორიც იყვნენ ჩილტონი და როული, ნამდვილი დახმარება არ გაეწიათ მათთვის სათამაშო მინდორზე. ასეთი „კოქტეილის“ შექმნა ძველი და ახალი მოთამაშეებისგან ტრენაჟის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს. დაბადების წელი ფეხბურთელის აღზრდისას არ არის გადამწყვეტი. არიან ჭაბუკები, რომლებიც უკვე 17 წლის ასაკში საკმარისად მომწიფებული არიან „უმაღლესი საზოგადოებისთვის“, სხვები კი ამას ვერ აკეთებენ 20 წლის და მეტ ასაკშიც. და აქაც უპირველეს როლს თამაშობს მწვრთნელის პროფესიული ხელოვნება. ჩემი აზრით, მწვრთნელის მუშაობაში შემდეგი პუნქტებია მთავარი:

1. ახალგაზრდა ფეხბურთელები საჭიროებენ რჩევა-დარიგებას, თუ მათ თამაშში შესამჩნევია სისუსტეები. ასეთ დროს მწვრთნელმა მითითებები არ უნდა დაიშუროს;
2. მწვრთნელი არ უნდა ცდილობდეს შეცვალოს რამე მოთამაშის ბუნებრივ, თანდაყოლილ თავისებურებებში და თამაშის სტილში;
3. ფეხბურთელები ავტომატები არ არიან. თვითეულ მათგანს აქვს თავისი ინდივიდუალობა და სწორედ ამის შესაბამისადაც მოქმედებს მინდორზე.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება მოვიხსენიოთ ცნობილი უნგრელი ფეხბურთელი ფ. პუშკაში, რომელიც 1958 წლიდან თამაშობს მადრიდის „რეალში“. საფეხბურთო თვალსაზრისით, პუშკაში „ცალფეხა“ იყო. იგი მთლიანად ეყრდნობოდა თავის მარცხენა ფეხს და დარწმუნებული ვარ, ბევრი მწვრთნელი შეეცდებოდა გადაეჩვია იგი ამ „მავნე თვისებას“. და რომ საქმე წასულიყო მხოლოდ მარჯვენა ფეხის გავარჯიშებაზე, პუშკაში სანახევროდ „დაკარგავდა“ თავის განთქმულ მარცხენა ფეხს. მან უნდა ბედს უმადლოს, რომ ეს ასე არ მოხდა.

როგორც უკვე ვთქვი, უხელმძღვანელო მოთამაშეს — ნიშნავს „გამოწურო“ ყველაფერი კარგი, რაც კი მას გააჩნია. რასაკვირველია, ზოგიერთ ფეხბურთელს ბუნებით არ ყოფნის ნიჭი. ენერგიასა და დაძაბულ მუშაობას, ცხადია, შეუძლიათ შექმნან თავისებური „ექვივალენტი“. მაგრამ თანდაყოლილ ნიჭს და ბუნებრივ მონაცემებს ვერ შეცვლის ვერავითარი „ექვივალენტი“.

იდეალურ შემთხვევაში ფეხბურთელს უნდა დაჰყვეს ის ნიჭი, რომელიც მას დიდ ხელოვნად აქცევს და თუ მას არ ყოფნის თანდაყოლილი ხელოვნება, დარჩენია მხოლოდ დაძაბული, დაუღალავი შრომა, რაც საბოლოოდ ნიშნავს თამაშებში განუწყვეტელ მონაწილეობას. არ უნდა უარვყოთ კეთილსინდისიერი, პატიოსანი ხელოსნები. ფეხბურთში მათთვის მუდამ გამოიძებნება ადგილი.

ამიტომ ვამბობ, რომ მწვრთნელის საქმიანობა გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე დაფაზე ცარცით სქემების ხატვა. თუ გუნდი წარუმატებლობათა რკალშია მოხვედრილი, მწვრთნელის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს დაეხმაროს თავის მოთამაშეებს ირწმუნონ საკუთარი ძალა და შესაძლებლობანი, რომ ეს წარუმატებლობანი მიიჩნიონ მხოლოდ დროებით მოვლენად. ძნელი საქმეა ასეთ დროს გასახდელი მყუდრო თავშესაფრად აქციო, ვინაიდან ფეხბურთელები განერვიულებული და გაღიზიანებული არიან. ბევრ მათგანს არც უნდა მინდორზე გამოსვლა, ეშინია მეტოქისა. თუ ასეთ ვითარებაში მწვრთნელი შეუდგება მოთამაშეთა ლანძღვა-გინებას, ეს ნამდვილი თვითმკვლელობა გამოვა. პირიქით, მწვრთნელმა ინტერესი უნდა გაუღვივოს მათ, აგრძნობინოს ფეხბურთელებს, რომ უწინდებურად ენდობა და სწამს მათი, დააჯეროს ისინი, რომ ქვეყანა არ დაიქცევა, თუ ისინი ერთხელ კიდევ წააგებენ.

თუ ჩემი გუნდი „მიწაზე“ აღმოჩნდება, მე ვცდილობ ფეხბურთელებს შთავაგონო, რომ უწინდებურად მჯერა მათი, ვეუბნები, რომ კვლავინდებურად უნდა უხაროდეთ თამაში და კოშმარული წინაგრძნობით არ ხვდებოდნენ მატჩის დღეს. არ შეიძლება ლანძღო გუნდი, რომელიც მძიმე ჟამს განიცდის, ხოლო წინ კიდევ ბევრი აქვს საბრძოლველი.

მახსოვს 1962-63 წლების სეზონში, როცა „მანჩესტერ იუნაიტედი“ თითქოს ახლოს იყო კატასტროფასთან, ჩვენ მძიმე ბრძოლის შემდეგ ანგარიშით 3:4 დავმარცხდით ერთ-ერთ მოწინააღმდეგესთან. ჩვენ ურიგოდ არ გვითამაშია, მაგრამ ძვირფასი 2 ქულა დავკარგეთ. ამის შემდეგ ჩვენმა ცენტრფორვარდმა დ. ლოუმ მითხრა გასახდელში: „შეფ, მე პირდაპირ ავადა ვარ. რა უნდა ვიღონოთ, უკეთ რომ გამოვიყურებოდეთ?“

მეც ისევე ვიყავი განწყობილი, როგორც ლოუ, მაგრამ ასე ვუთხარი მას: „აწიც ისე ითამაშე, როგორც დღეს, და გაისად ჩვენ ჩემპიონები ვიქნებით“. უცხო კაცს ჩვენი ეს საუბარი შეშლილის ბოდვად მოეჩვენებოდა, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ კი შემდგომ სეზონში II ადგილი დაიკავა ლივერპულის გუნდის შემდეგ და თასიც კი მოიგო.

როცა ვლაპარაკობ მწვრთნელისა და მოთამაშეთა ურთიერთ სიმპათიებსა და კოლეგიალობაზე, ერთი წუთითაც არ მავიწყდება, რომ დისციპლინა გუნდის წარმატების ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს. წესისა და რეჟიმის დარღვევა არ ეპატიება არავის, მაგრამ ზოგჯერ შეგნებულად უნდა დახუჭო თვალი ზოგიერთ უმნიშვნელო გადახვევაზე, რითაც ფეხბურთელს ხელს კი არ კრავ შემდგომი დარღვევებისკენ, არამედ, პირიქით, აგრძნობინებ, რომ მას გუნდში ჰყავს უფროსი მეგობარი და არა ჟანდარმი.

მე მუდამ ვცდილობ ისევე მოვეპყრა მოთამაშეებს, როგორც მსურდა მე მომპყრობოდნენ, როცა თვითონ ვთამაშობდი ბურთს. ამას გარდა, ფეხბურთელის ცხოვრებაში დიდი ადგილი უკავია პირად თავისუფლებას, ოჯახს. როცა ჯ. გრივსმა მოკლევადიანი და მარცხიანი ცდა გააკეთა ფული ეშოვა მილანის კლუბში, შემდგომში იგი ხშირად ჩიოდა იქ არსებულ უმკაცრეს დისციპლინაზე. პირად ცხოვრებაში ჩარევა დღე-ღამეში 24 საათის და კვირაში 7 დღის განმავლობაში გრივსს აქცევდა საფეხბურთო კლუბის მონად და განუწყვეტელი კონტროლის ქვეშ მყოფ ადამიანად. ვფიქრობ, რომ იტალიელები ამ საკითხში მეტისმეტად ღრმად იჭრებიან.

პროფესიონალ ფეხბურთელს ნდობით უნდა მოეკიდო. შეგნებული სპორტსმენი თვითონვე გეტყვის, რომ მალე დაკარგავს ფორმას, თუ მუდმივად არ შეინარჩუნა საჭირო ფიზიკური და მორალური კონდიციები. უმრავლესობა ასეც იქცევა, მაგრამ თუ რომელიმე მათგანი ზომაზე მეტად და, რაც მთავარია, ხშირად არღვევს ამ ნორმებს, გამოსავალი უბრალოა: კარისკენ მიუთითო.

ს უ რ ა თ ზ ე „მანჩესტერ იუნაიტედის“ უძლიერესი თავდამსხმელი, შოტლანდიის ნაკრების მოწინავე წევრი დ. ლოუ. ეს-ეს არის მან გაიტანა ბურთი მეტოქის კარში.

ახალი ამბები

● **სანტ-იაგო, 30 აგვისტო.** **ფეხბურთში სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების აქ გამართულ მესამე, გადამწყვეტ მატჩში არგენტინის „რესინგმა“ ანგარიშით 2:1 დაამარცხა ურუგვაის „ნასიონალი“. არგენტინელებმა ორივე გოლი შესვენებამდე გაიტანეს. მეორე ტაიმში ურუგვაელები ძალიან ცდილობდნენ ანგარიშის გაქვითვას, მაგრამ ეს მხოლოდ ერთხელ მოახერხეს. ახლა „რესინგს“ ორჯერ შეხვედრა მოუწევს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელთან — გლაზგოს „სელტიკთან“. ეს მატჩები გამარჯვებულს მსოფლიოს უძლიერესი საკლუბო გუნდის სახელს „მიაკუთვნებს“.**

● **სოფია, 30 აგვისტო.** ჭაბუკ ფეხბურთელთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში კვლავ წარმატებას მიაღწია სსრ კავშირის ნაკრებმა: II ტურში მან დაამარცხა ბულგარეთის მეორე ნაკრები — 2:0. სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: ბულგარეთი I — უნგრეთი 4:2, იუგოსლავია — პოლონეთი 3:0, გდრ — ჩეხოსლოვაკია 1:0.

● *კოპენჰაგენი, 30 აგვისტო. „ვარსკვლავურ“ კლასში აფროსანთა მსოფლიო ჩემპიონატის სამი რბოლის შემდეგ დაწინაურდა საბჭოთა იახტის — „ტაიფუნის“ ეკიპაჟი (მესაჭე თ. პინეგინი, მატროსი თ. შუტკოვი). საბჭოთა აფროსნები მეორე რბოლის ფინიშთან მეექვსენი იყვნენ, ხოლო შემდეგ სერიაში III ადგილი დაიკავეს. მეორე საბჭოთა ეკიპაჟი — „არგო“ (მესაჭე ვ. ვასილიევი) საერთო ჩათვლაში XIII ადგილზეა. ჩემპიონატის ორგანიზატორები იძულებული იყვნენ მეორე და მესამე რბოლები ერთ დღეს — სამშაბათს ჩაეტარებინათ, ვინაიდან წინა დღით პატარა ნიავიც კი არ ქროდა.*

წყალი დუღს...

ამერიკელი მოცურავეების მსოფლიო რეკორდები

●

ტოკიო, 29 აგვისტო. აქ მიმდინარე უნივერსიადაში ამერიკელი სტუდენტის დუგლას რასელის მსოფლიო რეკორდმა 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში (59,5 — აჩვენა წინასწარ გაცურვაში) ერთ დღესაც ვერ იარსება: მისმა თანამემამულემ ჩარლზ ხიკოკსმა ფინალში 0,2 წამით გააუმჯობესა იგი.

ხიკოკსმა ოქროს მეორე მედალიც მოიპოვა და კვლავ მსოფლიო რეკორდით: ამჯერად 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში — 2.09,4 (0,9 წამით სჯობს ამერიკელი ჯ. რ. გრეფის მსოფლიო რეკორდს, რომელიც ტოკიოს ოლიმპიადაში იყო დამყარებული).

რასელი თანაავტორი გახდა მსოფლიოს უმაღლესი მიღწევისა თავის ძირითად სტილში — ბატერფლაიში: 100 მეტრზე მან აჩვენა 56,3.

კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდის ავტორები გახდნენ ამერიკელი მოცურავეები. 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში მათ აჩვენეს 3.32,6, რაც 0,6 წამით უკეთესია აშშ-ს ნაკრების მიერ ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში დამყარებულ მსოფლიო მიღწევაზე.

200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში მსოფლიო რეკორდის ავტორი გახდა სტანფორდის უნივერსიტეტის სტუდენტი ჯ. ფერისი (აშშ) — 2.06,0. ეს ნახევარი წამით სჯობს მისი თანამემამულე მ. სპიტცის მსოფლიო რეკორდს, რომელიც ერთი თვის წინათ იყო ნაჩვენები V პანამერიკულ თამაშებში, ვინიპეგში.

• • •

საუნივერსიტეტო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის აქ გამართულ სხდომაზე დადგინდა, რომ 1970 წლის ზამთრის უნივერსიადა ფინეთში გაიმართება. როგორც ცნობილია, სტუდენტთა ზამთრის მსოფლიო თამაშები იმართება წყვილ წლებში. 1968 წლის უნივერსიადა ჩატარდება ზამთრის IX ოლიმპიადის ქალაქში — ინსბრუკში.

რედაქციისგან

პ ა ს უ ხ ს ვერ გავცემთ

ამ ბოლო ხანებში რედაქციაში შემოდის უამრავი წერილი, რომელთა ავტორები გვთხოვენ ვუპასუხოთ, როდის შედგა საუკუნის მატჩად წოდებული შეხვედრა ფეხბურთში უნგრეთისა და ინგლისის ნაკრებ გუნდებს შორის.

პასუხს ამ წერილებზე ვერ გავცემთ. საქმე ისაა, რომ ეს შეკითხვა შედის საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის მიერ გამოცხადებულ ვიქტორინაში და კოლეგიალობის წესი უფლებას არ გვაძლევს დახმარება გავუწიოთ ვიქტორინის მონაწილეებს ასეთი „კონსულტაციით“.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

1 სექტემბრიდან

საქართველოს სპორტკავშირის ზამთრის საცურაო აუზში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49-ბ) მთელი კვირის განმავლობაში იმუშავებენ ფასიანი სააბონემენტო ჯგუფები ცურვაში.

სამეცადინოდ დაიშვებიან ისინი, ვისაც გავლილი აქვს სათანადო სამედიცინო შემოწმება.

აბონემენტები იყიდება. ცნობებისთვის მიმართეთ დირექციას: ტელეფონი 7-58-00.

აუზის დირექცია.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 8 უუ 03355